განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„მცხეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ

დადგენილების პროექტი მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის მე-6 და მე-6[1] პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსების წყაროს მთლიანად წარმოადგენს ბიუჯეტის შემოსულობები და არ არის დაგეგმილი ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული თავისუფალი სახსრების (ნაშთის) გამოყენება.

საპროგნოზო გათვლებით 2025 წელს ბიუჯეტში მობილიზებული თანხების მოცულობას ზრდის ტენდენცია ექნება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის პროექტის **შემოსულობების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **40 758,2 ათასი ლარის** ოდენობით, 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტთან (33 833,0 ათ. ლარი) მიმართებაში იზრდება 6 925,2 ათასი ლარით (20,5%), მათ შორის: 5 206,2 ათასი ლარით იზრდება საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, 1 622,0 ათასი ლარით - სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, 70,0 ათასი ლარით - არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები საპროგნოზო შემოსავალი, ხოლო 27,0 ათასი ლარით - მიზნობრივი ტრანსფერი.

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 4 ოქტომბერს მიღებული წერილის (N 04-03/74732) გათვალისწინებით, განისაზღვრა 32 030,9 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (26 824,6 ათ. ლარი) მიმართებაში იზრდება 5 206,2 ათასი ლარით (19,4%), მათ შორის:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 16 030,9 ათასი ლარით; 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (12 824,7 ათ. ლარი) შედარებით დღგ იზრდება - 3 206,2 ათასი ლარით (25%).

ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 16 000,0 ათას ლარს; 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (14 000,0 ათ. ლარი) შედარებით ქონების გადასახადი იზრდება 2 000,0 ათასი ლარით (14,3%).

2025 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები, კერძოდ, **მიზნობრივი ტრანსფერი** დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად განისაზღვრა **297,3** ათასი ლარით; 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (270,3 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 27,0 ათასი ლარით (10%).

სხვა შემოსავლების სახით დაგეგმილი საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 7 430,0 ათასი ლარით, 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (**5 808,0** ათ. ლარი) შედარებით იზრდება 1 622,0 ათასი ლარით (27,9%), მათ შორის:

შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 2 780,0 ათასი ლარის ოდენობით, 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (**2 120,0** ათ. ლარი) შედარებით იზრდება 660,0 ათასი ლარით (31,1%), **მათ შორის:**

პროცენტების მაჩვენებელი განსაზღვრულია 1 500,0 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (**1000,0** ათ. ლარი) შედარებით იზრდება 500,0 ათასი ლარით (50%)

რენტა - 1 280,0 ათასი ლარი;
2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან 1 120,0 ათ. ლარი) შედარებით რენტის სახით მისაღები საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 160,0 ათასი ლარით (14,3%).

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლები განსაზღვრულია 1 650,0 ათასი ლარის ოდენობით, 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან - 1 440,0 ათ. ლარი - შედარებით იზრდება 210,0 ათასი ლარით (14,5%), მათ შორის:
სანებართვო მოსაკრებლების მაჩვენებელი განსაზღვრულია 600,0 ათასი ლარით; 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან - 400,0 ათ. ლარი - შედარებით იზრდება 200,0 ათასი ლარით (50%);

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის უცვლელია და განსაზღვრულია 1 000,0 ათასი ლარით;

არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები - 50,0 ათასი ლარი;
2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (40,0 ათ. ლარი) შედარებით აღნიშნული მოსაკრებლის საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 10,0 ათასი ლარით (25%).

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 3 000,0 ათასი ლარის ოდენობით, 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (2 248,0 ათ. ლარი) შედარებით საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება 752,0 ათასი ლარით (33,4%). მათ შორის:

შემოსავალი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო მაჩვენებელი იზრდება 400,0 ათასი ლარით და განსაზღვრულია 2 400,0 ათასი ლარით;

შემოსავალი არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო იზრდება 50,0 ათასი ლარით და განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარით;

შემოსავლები სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 500,0 ათ. ლარი, 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (198,0 ათასი ლარი) შედარებით იზრდება 302,0 ათასი ლარით (152%).

ბიუჯეტის 2025 წლის პროექტის **შემოსავლები არაფინანსური აქტივების კლებიდან** (პრივატიზაცია) განისაზღვრა 1000,0 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (930,0 ათასი ლარი) შედარებით 70,0 ათასი ლარით (7,5%) არის გაზრდილი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს **40 758,2** ათას ლარს, 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 33 833,0 ათას ლარი - შედარებით **გაზრდილია 6 925,2 ათ. ლარით** (20,5%-ით).

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პრიორიტეტისთვის განისაზღვრა - 11 807,5 ათასი ლარი;

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 7 510,5 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 4 297,0 ათასი ლარით (57%); მათ შორის:

- **02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება** - 1 850,0 ათასი ლარი;

მათ შორის:

02 01 02 გზების კაპიტალური შეკეთება - 1 550,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფ. წილკანში, სელექციის დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ), სოფ. წილკანში, იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ), სოფ. ძალისის შიდა საუბნო გზის (I და II მონაკვეთები) მოწყობა (რგფ), სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (სამების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი) (რგფ), სოფ. ქსოვრისში, შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა, სოფ. ძეგვში, ციხედიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

02 01 03 გზების კეთილმოწყობა - 300,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ვიდეო კამერების შესყიდვა/მონტაჟი და მოვლა-პატრონობა.

- **02 02 წყლის სისტემების** განვითარება - 3 230,0 ათასი ლარი, მათ შორის:

02 02 01 სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა - 1 200,0 ათასი ლარი; (შპს "წყლისა და ტრანსპორტის კომპანიის" ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება);

02 02 02 სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია - 1 930,0 ათასი ლარი;
ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში ჭაბურღილების მიერ მოხმარებული ელენერგიის ხარჯის დაფინანსება.
დაგეგმილია სოფ. ზაქაროში წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობის სამუშაოები (მრავალწლიანი).

02 02 03 საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 100,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტემების გაწმენდა ქალაქ მცხეთაში (არმაზის დასახლება) და მუნიციპალიტეტის სოფლებში: საგურამო, ძეგვი, წეროვანი, წინამძღვრიანთკარი.

- **02 03 გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია - 1 741,0 ათასი ლარი, მათ შორის:**

02 03 01 01 გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება - 1 300,0 ათასი ლარი;

02 03 01 02 გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა - 441,0 ათასი ლარი; (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ფუნქციონირებისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება);

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა;

- **02 04 მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის მოვლა-პატრონობა.

- **02 05 სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება** - 2 690,5 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხელშეკრულების პირობების მიხედვით 10 (ათი) ერთეული ავტობუსის ღირებულების (1 030,5 ათასი ლარი) და ავტობუსების გეგმური ფლობის მომსახურების (150,0 ათასი ლარი) ანაზღაურება, შეუფერხებელი და ხარისხიანი მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 1 510,0 ათასი ლარი სუბსიდიის სახით მიეცემა შპს „წყლისა და ტრანსპორტის კომპანიას", საიდანაც დაფინანსდება სატრანსპორტო სერვისის ხარჯები: ხელფასები, საწვავი, ავტობუსების რემონტი.

- **02 06 კეთილმოწყობის ღონისძიებები - 796,0 ათასი ლარი,** მათ შორის:

02 06 01 საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები) - 300,0 ათასი ლარი, სკვერებში არსებული სასმელი წყლის ხარჯის დაფინანსება;

02 06 03 დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა - 96,0 ათ.ლარი (ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს დაფინანსება);

02 06 03 სადღესასწაულო ღონისძიებები - 400,0 ათასი ლარი;

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საახალწლო დეკორაციების და მასალების შეძენა/ მონტაჟი/ექსპლუატაცია/დემონტაჟი და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის მუნიციპალიტეტის გაფორმება.

- **02 08 სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების** მშენებლობა/რეაბილიტაცია - 100,0 ათასი ლარი;

- **02 09 მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება** - 1100,0 ათ. ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო–სამონტაჟო და აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა (600,0 ათასი ლარი). სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო–საძიებო და გეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დასკვნების მომზადება, დამუშავებული პროექტების ექსპერტიზა (500,0 ათასი ლარი).

- **02 11 ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა - 200,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

სულ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის განისაზღვრა 4 960,5 ათასი ლარი:

ათასი ლარი

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი
02 01 02	**გზების კაპიტალური შეკეთება**	
	სოფ. წილკანში, სელექციის დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ, თანადაფინანსება)	357.0
	სოფ. წილკანში, იგპ დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია (რგფ, თანადაფინანსება)	542.3
	სოფ. ძალისის შიდა საუბნო გზის (I და II მონაკვეთები) მოწყობა (რგფ, თანადაფინანსება)	139.9
	სოფ. მუხრანში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია (სამების სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი) (რგფ, თანადაფინანსება)	89.7
	სოფ. ქსოვრისში, შიდა საუბნო გზის ასფალტბეტონის საფარით მოწყობა	167.3
	სოფ. ძეგვში, ციხედიდთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	253.8
	ჯამი	**1550.0**
02 01 03	**გზების კეთილმოწყობა**	
	ვიდეო კამერების შეძენა/მონტაჟი	200.0
	ჯამი	**200.0**
02 02 02	**სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია**	
	სოფ.ზაქაროს წყალმომარაგების ჭაბურღილების, რეზერვუარების და მილსადენების მოწყობა	880.0
	ჯამი	**880.0**
02 05	**სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება**	
	10 (ათი) ერთეული ავტობუსის ღირებულების ანაზღაურება	1030.5
	ჯამი	**1030.5**
02 09	**მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება**	
	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	600.0
	საპროექტო სამუშაოებზე ზედამხედველობის ხარჯები	500.0
	ჯამი	**1100.0**

კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი
02 11	**ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა**	
	მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი ინიციატივების შესაბამისად განსახორციელებელი ინფრაპროექტები	200.0
	ჯამი	**200.0**
	სულ ჯამი	**4960.5**

პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

პრიორიტეტისთვის განისაზღვრა 3 614,9 ათასი ლარი;

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 3 000,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 614,9 ათასი ლარით (20,5%) მათ შორის:

- **03 01 დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 3 221,9 ათასი ლარი**

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 2 775,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 446,9 ათასი ლარით (16 %);
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. დაფინანსდება ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ხარჯები;

- **03 02 01 მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა - 313,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული მწვანე საფარის და ნარგავების მოვლა-პატრონობა;
2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 145,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 168,0 ათასი ლარით (116%).დაფინანსდება (ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს ხარჯები;

- **03 04 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 80,0 ათასი ლარი**

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები: მათი ჰუმანური წესით დაჭერა, დეჰელმენტიზაცია, სტერილიზაცია, ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია საერთაშორისოდ აღიარებული (TVNR) მეთოდოლოგიით და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია;

პრიორიტეტი - განათლება (04 00)

პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვრა **8 885,0 ათასი** ლარის ოდენობით. 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 7 602,9 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 1 282,1 ათასი ლარით (16,9%);
მათ შორის:

- **04 01 სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა - 8 635,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“;

- **04 03 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა - 200,0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს ყოველდღიურად სკოლამდელი ასაკის ბავშვების წაყვანას ისეთი სოფლებიდან, სადაც არ არის საბავშვო ბაღი, ახლოს მდებარე საბავშვო ბაღში და მათ უკან, სახლში დაბრუნებას.

- **04 04 ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა - 50,0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მე-11 და მე-12 კლასის წარჩინებული მოსწავლეების წახალისება ფულადი ჯილდოთი.

პრიორიტეტი - კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (05 00)

პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვრა **4 147,0 ათასი ლარის** ოდენობით; 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 3 374,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 773,0 ათასი ლარით (22,9%), მათ შორის:

- **05 01 სპორტის სფეროს განვითარება - 2 055,0 ათასი ლარი**

2024 წლის დამტკიცებულ **ბიუჯეტთან - 1 712,0** ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 343,0 ათასი ლარით (20%);

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა, მათ შორის:

- **ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა** - 400,0 ათ. ლარი; დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“;
  2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 330,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 70,0 ათასი ლარით (21%);
- **კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა** - 360,0 ათ. ლარი; დაფინანსდება ა(ა)იპ „გიორგი კაპანაძის სახელობის მცხეთის კანოესა და ნიჩბოსნობის აკადემია";
  2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 298,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 62,0 ათასი ლარით (21%).
- **ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა** - 605,0 ათ. ლარი; დაფინანსდება ა(ა)იპ „უმაღლესი დაოსტატების მცხეთის ჭიდაობის სკოლა";
  2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 453,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 152,0 ათასი ლარით (34%);
- **სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა** - 340,0 ათ. ლარი; დაფინანსდება ა(ა)იპ „სხვადასხვა სახეობის მცხეთის სასპორტო სკოლა";
  2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 281,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 59,0 ათასი ლარით (21%);
- **საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა** - 250,0 ათ. ლარი;
  დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი";
- **რაგბის განვითარების ხელშეწყობა** (ახალი პროგრამა) - 100,0 ათ. ლარი;
  დაფინანსდება ა(ა)იპ ‘მცხეთა-მთიანეთის სარაგბო კლუბი ყაზბეგი“;

- **05 02 კულტურის სფეროს განვითარება - 2 092,0 ათასი ლარი;**

2024 წლის დამტკიცებულ **ბიუჯეტთან - 1 662,0** ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 430,0 ათასი ლარით (26%);

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

- **კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა** - დაფინანსდება ა(ა)იპ „მცხეთის კულტურისა და განათლების მულტიფუნქციური ცენტრი“ - 1 700,0 ათასი ლარი; 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 1300,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 400,0 ათასი ლარით (30,8%);

- **მუზეუმების ხელშეწყობა** - 42.0 ათ.ლარი.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა** - 20.0 ათ.ლარი;

- **კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა** - დაფინანსდება ა(ა)იპ "მცხეთის კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი" - 330,0 ათასი ლარი; 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 300,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 30,0 ათასი ლარით (10%);

პრიორიტეტი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)

პრიორიტეტის დაფინანსება **განისაზღვრა 2 856,9** ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 2 682,6 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 174,3 ათასი ლარით (6,5%).

მათ შორის:

- **06 01 ჯანმრთელობის დაცვა - 1 307,3 ათ.ლარი** (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი 297,3 ათ. ლარი);

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან **- 1 222,3** ათასი ლარი (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი 270,3 ათ. ლარი) - მიმართებაში გაზრდილია 85,0 ათასი ლარით (7%):

06 01 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 357,3 ათ. ლარი (მ.შ. მიზნობრივი ტრანსფერი - 297,3 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება - 60,0 ათასი ლარი).

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 322,3 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 35,0 ათასი ლარით (10,9%);

პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ "მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს დაფინანსებას „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად (მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა).

06 01 02 მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება - 950.0 ათასი ლარი; 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან **- 900,0** ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 50,0 ათასი ლარით (6%):

- **06 02 სოციალური დაცვა - 1 549,6** ათ.ლარი;

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 1 460,3 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 89,3 ათასი ლარით (6,1%);

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება:

06 02 01 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 1 160,0 ათ. ლარი;

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 1 097,5 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 62,5 ათასი ლარით (5,7%);

ღონისძიების დასახელება	**თანხა** (ათასი ლარი)
დღის ცენტრით მოსარგებლე შშმ სტატუსის მქონე არასრულწლოვანი პირების ფინანსური დახმარება	4.0
დღის ცენტრით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ტრანსპორტით მგზავრობის უზრუნველყოფა	400.0
დღესასწაულებთან დაკავშირებით სასურსათო კალათით დახმარება	450.0
მესამე და მეტ შვილზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	30.0
ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება	25.0
ხანძრის და სხვა უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებული და თავშესაფრის არმქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა	3.0
მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	3.0
საშენი მასალებით დახმარება	80.0
18 წლამდე ასაკის შაქრიანი დიაბეტით (ინსულინდამოკიდებული) დაავადებული პირების საკურორტო დახმარება	15.0
დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარების საკურორტო მომსახურება	40.0
წითელ ჯვართან თანამშრომლობის ხელშეწყობა	10.0
ცელიაკიით დაავადებული პირების ფინანსური დახმარება	20.0
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	80.0
სულ	**1160.0**

06 02 02 ერთჯერადი სოციალური დახმარება - 100,0 ათ. ლარი;

06 02 03 სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება - 4,0 ათ. ლარი;

06 02 04 დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება - 60,0 ათ.ლარი;
2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 48,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 12,0 ათასი ლარით (25%);

06 02 05 ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა - 85,6 ათ.ლარი;
დაფინანსდება ა(ა)იპ "ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანება".

06 02 06 მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება - 140,0 ათ. ლარი;
დაფინანსდება ა(ა)იპ "მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის", 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 133,0 ათასი ლარი - მიმართებაში გაზრდილია 7,0 ათასი ლარით (5,3%);

პრიორიტეტი - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (01 00)

პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვრა - 9 446,9 ათასი ლარით.

2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან - 9 663,0 ათასი ლარი - მიმართებაში შემცირებულია 216,1 ათასი ლარით (2,2%);

01 01 01 მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსება - 1 465,9 ათასი ლარი;
01 01 02 მუნიციპალიტეტის მერია - 7 475,0 ათასი ლარი;
01 01 04 საჯარო მოხელეთა სწავლება-გადამზადება - 50,0 ათასი ლარი;
01 02 01 სარეზერვო ფონდი - 300,0 ათასი ლარი;
01 02 03 წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ის სესხი) - 141,0 ათასი ლარი - 5 ცალი კომპაქტორიანი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანის და 200 ცალი ნარჩენების კონტეინერის შეძენის მიზნით, 2017 წელს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და მცხეთის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული სესხის დაფარვა. მათ შორის, ძირითადი თანხა (ვალდებულებების კლება) -126,6 ათ. ლარი და პროცენტი - 14,4 ათ.ლარი;
01 02 04 მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა - 15,0 ათასი ლარი;

2025 წელს პრიორიტეტული მიმართულებების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია შემდეგი თანხები:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა**	**მომუშავეთა რიცხოვნობა**	**2025 წლის პროექტი**	**პროცენტული წილი**
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	**1,548.5**	**40,758.2**	**100**

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	მომუშავეთა რიცხოვნობა	2025 წლის პროექტი	პროცენტული წილი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	202	9,446.9	23
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	155	11,807.5	29
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	162	3,614.9	9
04 00	განათლება	555	8,885.0	22
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	439.5	4,147.0	10
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	35	2,856.9	7

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები 2025 წელს შემდეგნაირად განისაზღვრა:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
	მცხეთის მუნიციპალიტეტი	40,758.2	40,460.9	297.3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	9,446.9	9,446.9	-
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	8,990.9	8,990.9	-
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,465.9	1,465.9	-
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	7,475.0	7,475.0	-
01 01 04	საჯარო მოხელეთა პროფესიული სწავლება	50.0	50.0	-
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	456.0	456.0	-
01 02 01	სარეზერვო ფონდი	300.0	300.0	-
01 02 03	წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა (მგფ-ს სესხი)	141.0	141.0	-
01 02 04	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	15.0	15.0	-
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	11,807.5	11,807.5	-
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,850.0	1,850.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
02 01 02	გზების კაპიტალური შეკეთება	1,550.0	1,550.0	-
02 01 03	გზების კეთილმოწყობა	300.0	300.0	-
02 02	წყლის სისტემების განვითარება	3,230.0	3,230.0	-
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	1,200.0	1,200.0	-
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	1,930.0	1,930.0	-
02 02 03	საკანალიზაციო სისტემის მოწყობა - რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	100.0	100.0	-
02 03	გარე განათების ქსელის მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1,741.0	1,741.0	-
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	1,741.0	1,741.0	-
02 03 01 01	გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურება	1,300.0	1,300.0	-
02 03 01 02	გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა	441.0	441.0	-
02 04	მუნიციპალური, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	100.0	100.0	-
02 05	სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარება	2,690.5	2,690.5	-
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	796.0	796.0	-
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (სკვერები და მოსაცდელები)	300.0	300.0	-
02 06 02	დაზიანებული მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობა	96.0	96.0	-
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	400.0	400.0	-
02 08	სანიაღვრე არხების, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა/რეაბილიტაცია	100.0	100.0	-
02 09	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, საექსპერტო და სამშენებლო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	1,100.0	1,100.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
02 11	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა	200.0	200.0	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	3,614.9	3,614.9	-
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	3,221.9	3,221.9	-
03 02	მწვანე ნარგავების გაშენება, მოვლა-პატრონობა	313.0	313.0	-
03 02 01	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	313.0	313.0	-
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	80.0	80.0	-
04 00	განათლება	8,885.0	8,885.0	-
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	8,635.0	8,635.0	-
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ბავშვთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	200.0	200.0	-
04 04	ზოგადი განათლების (საჯარო სკოლების) ხელშეწყობა	50.0	50.0	-
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	4,147.0	4,147.0	-
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	2,055.0	2,055.0	-
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2,055.0	2,055.0	-
05 01 01 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	400.0	400.0	-
05 01 01 02	კანოესა და ნიჩბოსნობის განვითარების ხელშეწყობა	360.0	360.0	-
05 01 01 03	ჭიდაობის განვითარების ხელშეწყობა	605.0	605.0	-
05 01 01 04	სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობა	340.0	340.0	-
05 01 01 05	საცურაო სპორტის განვითარების ხელშეწყობა	250.0	250.0	-
05 01 01 06	რაგბის განვითარების ხელშეწყობა	100.0	100.0	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,092.0	2,092.0	-
05 02 01	კულტურის დაწესებულებების ხელშეწყობა	1,742.0	1,742.0	-
05 02 01 01	კულტურის და განათლების მულტიფუნქციური ცენტრის ხელშეწყობა	1,700.0	1,700.0	-

პროგრამული კოდი	პრიორიტეტის/პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება	2025 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის	
			საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ბიუჯეტი
05 02 01 04	მუზეუმების ხელშეწყობა	42.0	42.0	-
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	20.0	20.0	-
05 02 05	კულტურული მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	330.0	330.0	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,856.9	2,559.6	297.3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,307.3	1,010.0	297.3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	357.3	60.0	297.3
06 01 02	მოქალაქეების მკურნალობის და ოპერაციების ხარჯების დაფინანსება	950.0	950.0	-
06 02	სოციალური დაცვა	1,549.6	1,549.6	-
06 02 01	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	1,160.0	1,160.0	-
06 02 02	ერთჯერადი სოციალური დახმარება	100.0	100.0	-
06 02 03	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურება	4.0	4.0	-
06 02 04	დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირების ფინანსური დახმარება	60.0	60.0	-
06 02 05	ინვესტიციების და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანების ხელშეწყობა	85.600	85.6	-
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	140.0	140.0	-

2022 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დარეგულირდა ყოველწლიურად კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის პროექტით საბაზო თანამდებობრივი სარგო 2024 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 460 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით.

გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში გათვალისწინებულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომელთა ხელფასების 10%-ით ზრდა, ხოლო ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარით ზრდა.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 9 320,3 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა - 5 036,5 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა - 3 614,9 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 6 771,0 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია - 4 147,0 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა - 1307,3 ათასი ლარი;
- განათლება - 8 885,0 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა -1 549,6 ათასი ლარი;

დადგენილების ავტორი და წარმდგენი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 02 თებერვლის N8 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების“ შესაბამისად, დადგენილების პროექტის ავტორია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ხოლო წარმდგენი - სამსახურის ხელმძღვანელი ილია ციციშვილი.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ილია ციციშვილი